დადგენილება:**დ-37. 3723167001**
თარიღი:**16/06/2023**

**დადგენილება N15**

2023 წლის 16 ივნისი

ქ. ოზურგეთი

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული**

**„სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 85-ე მუხლის მე-5 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის და 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

**ა დ გ ე ნ ს** :

**მუხლი 1.**

დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს განხორციელების წესი დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2.**

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამოქალაქო ბიუჯეტის“ განხორციელების წესის დადგენის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 1 მაისის N14 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 03/05/2019, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.113.016394).

**მუხლი 3.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი